ვებგვერდი, 30/01/2012
სარეგისტრაციო კოდი
040030000.22.054.016016

# საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება №3/16

# 2012 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

# „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებაში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას კინოცენტრი იღებს საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ნ. რურუა*